


ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



**გივი გაჩეჩილაძის დაბადებიდან  
110 წლისთავისადმი მიძღვნილი  
სამეცნიერო კონფერენცია**



**პროგრამა და თეზისები**

21 ივნისი  
თბილისი  
2024

## **სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:**

**დარეჯან თვალთვაძე** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

**ნანა გაფრინდაშვილი** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**დარეჯან გარდავაძე** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

**ეკატერინე ნავროზაშვილი** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

**ნინო პოპიაშვილი** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე);

**ირინა ნოზაძე** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

## **რეგლამენტი:**

მოსხენება - 15 წუთი

დისკუსია - 5 წუთი

სამუშაო ენა - ქართული

**პარასკევი, 21 ივნისი**

**09.00-13.00**

**კონფერენციის გახსნა**

**თსუ I კორპუსი, აუდიტორია 201ა**

**მისალმებები**

**დარეჯან თვალთვაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**სექციური მუშაობა**

სექციის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქტორი,  
**ნინო პოპიაშვილი**

**ანა სისვაძე**

**უილიამ ბეტლერ იეიტსის „ლედა და გედი“ – ტექსტი და თარგმანი**  
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

**ირინე ახოზაძე**

**სიყვარული შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში** ხელმძღვანელი:  
ფილოლოგიის დოქტორი ნინო თოდუა

**გიორგი შარაშენიძე**

**ფიოდორ დოსტოვესკის რომან „იდიოტისა“ და მისი ქართული თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი**  
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

**ელენე კოპალიანი**

**ქალის ლიტერატურული რეპრეზენტაცია ლია ლიქოკელის ლექსების მიხედვით**  
ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

### **მერი ხვიბლიანი**

**მეცნიერული იდეების ასახვისა და უტოპიური საზოგადოების შექმნის მცდელობა ბ.ფ. სკინერის „უოლდენ ორში“**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

### **მარიამ ბულია**

**ქართული რომანტიზმის სათავეები მე-18 საუკუნის მიწურულის ქართულ ლიტერატურაში**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

### **ლიკა თადიაშვილი**

**იმპრესიონიზმი ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი სოფიკო ძნელაძე

### **ნინა ზიგერი**

**გერმანულენოვანი გაზეთი “Kaukasische Post” და გაზეთი „ივერია“ - ერთი დღის ნომრების კომპარატივისტული ანალიზი**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი

### **შალვა მილაშვილი**

**თამარ ლალიაშვილი**

**ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ისტორიისათვის**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

### **თამარ ჩიხრაძე**

**ტოტალიტარიზმის ლიტერატურული რეპრეზენტაცია ზაირა არსენიშვილის მოთხრობის, „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“, მიხედვით**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

# თეზისები

*იხინე ახობადე*

## **სიყვარული შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში**

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოდის ქართული ფსიქოლოგიური ნოველის ერთ-ერთი ფუძემდებელი შიო არაგვისპირელი. მისი შემოქმედება სიახლე იყო არა მხოლოდ ფორმის თვალსაზრისით, არამედ თემატიკითა და იდეითაც. შიო არაგვისპირელის შემოქმედების მრავალფეროვანი თემატიკიდან განხილული იქნება მწერლის მიმართება ისეთი ფაქიზი და ყოვლისმომცველი გრძნობისადმი, როგორც სიყვარულია.

შიო არაგვისპირელი წინა პლანზე წამოწევს ისეთ სულიერ პლასტებსა და ფსიქოლოგიურ დეტალებს, რომლებიც მაშინდელი მკითხველისათვის უჩვეულო იყო, მაგალითად, როგორცაა სიყვარულის აღმა მწერლის მიერ. არაგვისპირელთან სიყვარულის ცნება დაკავშირებულია რამდენიმე თემასთან - ღალატთან, სოციალურ ფაქტორთან, სექსუალურ ლტოლვასთან. თუმცაამავე დროს მასთან ვხვდებით იდეალურსა და ამაღლებულ სიყვარულსაც.

მოხსენებაში აღნიშნული საკითხები განხილული იქნება შიო არაგვისპირელის ნოველების საფუძველზე, ასევე ყურადღება გამახვილებული იქნება იმაზე, თუ რა ფაქტორები განაპირობებს მწერლის შემოქმედებაში ორი სრულიად განსხვავებული გრძნობის არსებობობას, რომლებსაც პერსონაჟები, რიგ შემთხვევებში, სიყვარულს უწოდებენ.

*მაჩიამ ბუღია*

## **ქართული რომანტიზმის სათავეები მე-18 საუკუნის მინურულის ქართულ ლიტერატურაში**

ძველი ქართული მწერლობის აღორძინების პერიოდში ბატონდება ეროვნული და ისტორიული თემატიკა, თავს იჩენს ახალი ლიტერატურული ტენდენციები, მწერლობა მრავალფეროვანი ხდება ჟანრობრივადაც. თუმცა, ამ დიდებული პერიოდის დასასრული ემთხვევა პოლიტიკურ-სოციალური სიტუაციის გაუარესებას, რაც გამოძახილს პოვებს ლიტერატურაში ძლიერი პესიმიზმით და ჩვენში ფეხის მოკიდებას იწყებს ის მეტად საინტერესო ლიტერატურული მიმართულება, რომელიც ევროპასა და რუსეთში გზას იკავავდა კლასიციზმთან წინააღმდეგ ბრძოლის გზით. ქართულ რეალობაში კი რომანტიზმს ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა სწო-

რედ აღორძინების ხანის მეფე-პოეტთა და ბატონიშვილთა შემოქმედებაში.

ძველი ქართული მწერლობის დასასრული ემთხვევა რომანტიზმის საწყისს. ამ გარდამტეხი ეპოქის პოეტი, პირველი ქართველი რომანტიკოსი, ალექსანდრე ჭავჭავაძეა. მისი პოეტიკა საზრდოობს ბესიკისა და აღორძინების ხანის სატრფიალო პოეზიით. აგრეთვე, შეინიშნება საინტერესო მსგავსება ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ქალ ბატონიშვილთა შემოქმედებაში. სწორედ ქალ ბატონიშვილთა პოეზიაში იქმნება ის საბაზისო ლექსიკური ფონდი, რომელსაც შემდგომ პერიოდში ქართულმა რომანტიზმმა თავისი ეროვნული მოტივები დააყრდნო.

მოხსენებაში ქართველ რომანტიკოსთა და აღორძინების ხანის შემოქმედთა ნაწარმოებების საფუძველზე განხილული იქნება ქართული რომანტიზმის გენეზისის პრობლემა.

*ნინა ზიგეჩი*

### **გერმანულენოვანი გაზეთი „Kaukasische Post“ და გაზეთი „ივერია“ - ერთი დღის ნომრების კომპარატივისტული ანალიზი**

გაზეთი „ივერია“ თბილისში გამომავალი ქართულენოვანი პერიოდული გაზეთი იყო, რომელიც 1877 წლის 3 მარტს დაარსდა ილია ჭავჭავაძის მიერ.

გერმანულენოვანი გაზეთი „Kaukasische Post“ იყო ყოველკვირეული გერმანულენოვანი გაზეთი, რომლის მთავარი საგამომცემლო ორგანო თბილისში იყო. მას კურტ ფონ კუჩენბახი და არტურ ლაისტი რედაქტორობდნენ და დაარსდა 1906 წელს 18 ივნისს.

ჩვენი ინტერესის საგანია ამ ორი გაზეთის შედარებითი განხილვა და მათი რუბრიკების, თემებისა და სტატიების კომპარატივისტული ანალიზი. აღსანიშნავია, რომ გაზეთი „ივერიის“ დამაარსებელი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძეა, რომელიც „კაუკაზიშე ფოსტის“ რედაქტორს, არტურ ლაისტს ახლოს იცნობდა. ლაისტი და ჭავჭავაძე თანამოაზრეები იყვნენ, ლაისტმა თარგმნა ქართველი ავტორების, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება გერმანულ ენაზე და სხვ.

1906 წელს, როდესაც არტურ ლაისტი გაზეთ „Kaukasische Post“-ს აარსებს, ილია ჭავჭავაძე აღარ არის ცოცხალი. მიუხედავად ამისა, „ივერიის“, როგორც ჭავჭავაძის დაარსებული და „Kaukasische Post“, როგორც ლაისტის დაარსებული პერიოდული გამოცემების ერთი დღის ნომრების შედარება ძალიან საინტერესოა და ბუნებრივია. კვლევის სიახლეს წარმოადგენს ერთ პერიოდში გამომავალი გაზეთების შედარება და მათი საერთოსა და განსხვავებული თემების წარმოჩენა. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით ეს საკითხი აქამდე არ იყო განხილული.

## იმპრესიონიზმი ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში

XX საუკუნის ლიტერატურულ სივრცეს უერთდება ლეო ქიაჩელი. მისი შემოქმედება მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც ცალსახად მწერლის ბიოგრაფიითაა განპირობებული. ევროპაში გატარებულმა წლებმა, კერძოდ, ხარკოვსა და ჟენევაში მიღებულმა განათლებამ, დააახლოვა ის მოდერნისტულ ესთეტიკასთან. მოხსენებაც მისი შემოქმედების მოდერნისტულ, კერძოდ, იმპრესიონისტულ ნაკადს ეხება.

იმპრესიონიზმი ქართულ ლიტერატურაში XX საუკუნის პირველი ათწლეულიდან იჩენს თავს. ლეო ქიაჩელის ნოველებში იკვეთება თითქმის ყველა ის ნიშანი, რაც იმპრესიონისტული ტექსტისთვის არის დამახასიათებელი, კერძოდ: სუბიექტივიზმი, ნიჰილიზმი, ფილოსოფიზმი, შინაგანი გრძნობების გადმოცემა... ავტორი დაგვაფიქრებს ისეთ ეგზისტენციალურ საკითხზე, როგორცაა იდეალის ძიების ამაოება, კაცობრიობის უაზრო ცხოვრება და ბრძოლა („ESKALADE“). მასთან შევხვდებით დეკადენტური პროზის ნიმუშებს, ორი „მე-ს“ ჭიდილს („მე და ჩემი ორი მე“), ღრმა ფილოსოფიზმსა და ფსიქოლოგიზმს, რეალურისა და წარმოსახვითის აღრევას, ადამიანის ფანტაზიის უსაზღვრობასა და საბოლოოდ სასონარკვეთამდე მისვლას („შეურაცხყოფილი“), ზნე-ჩვეულების შეცვლის შეუძლებლობას („ბერი და ყორანი“). ამ უკანასკნელით ავტორი აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელის“ ფინალსაც გვახსენებს, ნაშრომში შევადარებთ ამ ორ ტექსტს.

იმპრესიონისტები „შთაბეჭდილების მხატვრებად“ იწოდებოდნენ. ოთხი ნოველის განხილვა კი გვიჩვენებს, რატომ ამართლებს ზემოხსენებული ავტორი ამ სახელს, რა თქვა ახალი ლეო ქიაჩელმა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. განვიხილავთ იმ საკითხებს, რაც საუკუნის წინათ გაიაზრა ავტორმა და ახლაც აქტუალურია თანამედროვე მკითხველისთვის.

*ედენე კობაღიანი*

## ქალის ლიტერატურული რეპრეზენტაცია ლია ლიქოკელის ლექსების მიხედვით

ქალი ავტორების მიერ შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები თავისებური ესთეტიკითა და შინაარსით ძალიან განსხვავებული და მრავალფეროვანია. პროცესებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სამწუხაროდ საჭირო ხდება ქალთა მიერ შექმნილი ლიტერატურის განცალკევებით განხილვა.

ქალების მიერ შექმნილი ლიტერატურის ცენტრალური პერსონაჟები უმეტესად თავად ქალები არიან და რაც მთავარია, ჰყვებიან ქალის თვალთ დასახული სამყაროს შესახებ. საზოგადოების დამოკიდებულება ამ თემისადმი მის განვითარებასთან ერთად იცვლება და ფუნდამენტურ დონეზე თავიდან გადააზრების საშუალებას იძლევა ისეთი საკითხი, როგორცაა ქალის როლი საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საზოგადოება ცდილობს გენდერული, ან სხვა ნიშნით, უპირატესობების მინიჭებას ან არ მინიჭებას გვერდი აუაროს და ამით აღიაროს ქალისა და მამაკაცის თანაბარი შესაძლებლობები, ვერ ვიტყვით, რომ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ქალი ავტორების ირგვლივ არსებული პრობლემატიკა გადაჭრილია.

ღია ლიქოკელის ლექსებში ასახულია ქალის, როგორც სუბსტანციის, პოეტური პერსპექტივა. ქალად ყოფნა, როგორც მდგომარეობა, მრავალმნიშვნელოვანია, ურთიერთსაინააღმდეგო და, ამავდროულად, ჰარმონიული და თავსებადი ელემენტებისაგან შედგება.

ღია ლიქოკელის ლექსების ადრესატები ხშირად გოგონები არიან, ცენტრალური პერსონაჟი კი, არც თუ იშვიათად, თავადაა. წარსულის გავლით ანმყოში მკითხველს საშუალებას აძლევს დაინახოს ქალის როლი და დანიშნულება ისეთ სამყაროში, რომელიც მისი მონაწილეობის გარეშეა შექმნილი.

*შაღვა მიდაშვიდი*

*თამაზ დაციაშვიდი*

### **ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ისტორიისათვის**

ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია საბავშვო ლიტერატურა. მისი მთავარი მიზანი ეპოქის შესაბამისი ღირებულებების მქონე ყველა ქვეყანაში თაობის აღზრდაა. მათ შორის გამონაკლისი არც საქართველოა. ჩვენს ქვეყანაში ეროვნული მწერლობის აღორძინების პარალელურად არანაკლებ ყურადღებას იპყრობდა საბავშვო ლიტერატურა, რომელიც ძალიან დიდ როლს თამაშობს სწორი აზროვნებისა და შეხედულებების ჩამოყალიბებაში, რაც შემდგომში ქვეყნის მომავალს გამოადგება. თემატიკური მრავალფეროვნება სწორედ რომ ჩვენ ქვეყანაში არსებულმა პრობლემებმა განაპირობა: სოციალური უთანასწორობა, ჰუმანიზმი, თავისუფლებისა და მეგობრობის იდეა, პატრიოტიზმი იქცა საბავშვო მწერლობის წამყვან თემებად. ქართული საბავშვო ლიტერატურის პირველ ნიმუშებს შორის უნდა აღინიშნოს მდიდარი ქართული ფოლკლორი, ასევე, სულხან-საბა ორბელიანის „სი-



ბრძნე-სიცრუისა“, იგავ-არაკთა კრებული, რომელიც დამრიგებლობითი ხასიათის თხზულებებს შეიცავს. შემდგომ მას მოჰყვა დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“.

ქართული საბავშვო ლიტერატურის მეთოდური და შინაარსობრივი განვითარება იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ქავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და სხვა ქართველი სამოციანელების შემოქმედებაში საბავშვო ლიტერატურას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რაც, ვფიქრობთ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობის, ასევე, იაკობ გოგებაშვილის, როგორც ქართულენოვანი სასწავლო წიგნების ავტორის, მუშაობის შედეგად მოხდა. ქართულენოვანი სასწავლო წიგნების შექმნამ განაპირობა საბავშვო ლიტერატურის ჟანრისადმი განსაკუთრებული ყურადღება. მე-19 საუკუნეში დაარსებულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში პერიოდულად იბეჭდებოდა საბავშვო ლიტერატურა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროისათვის დაარსდა საბავშვო ჟურნალი „ჭეჭილი“. რომელიც აქვეყნებდა ბავშვებისათვის განკუთვნილ ლიტერატურულ მასალას.

მოსვენებაში ვისაუბრებთ ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საკითხებზე მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. ყურადღებას მივაქცევთ იაკობ გოგებაშვილისა და ქართველ სამოციანელთა მეთოდურ მუშაობასა და წვლილს საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში.

*ანა სისვაძე*

## **უილიამ ბეტლერ იეიტსის „ლედა და გედი“ – ტექსტი და თარგმანი**

უილიამ ბეტლერ იეიტსი XX საუკუნის ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. უ. იეიტსიმ წერა 17 წლის ასაკში დაიწყო, სწორედ მაშინ, როცა ახალგაზრდული ჟინი და ექსპრესიული ვნებათაღელვა იწყებს გამოჩენას პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში დაინტერესებული იყო მისტიციზმით, სპირიტუალიზმით, ოკულტიზმითა და ასტროლოგიით, რამაც, ცხადია, გამოვლინება პოვა კიდეც პოეტის შემოქმედებაში.

ლექსი „ლედა და გედი“ გადმოგვცემს ანტიკური მითოლოგიის ცნობილ ამბავს, რომლის მიხედვითაც, სპარტის მეფის, ტანდარეოსის მეუღლე, ლედა, ერთი ღამით გედად მოვლენილი ზევსის „მსხვერპლი“ ხდება. მითის გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, ცხრა თვის შემდეგ ლედას მიერ მოვლენილი კლიტემნესტრა და კასტორი ტანდარეოსის შვილები იყვნენ, ხოლო ელენე და პოლიდევეკესი - ზევსისა. ელენეს დაბადება შემდგომში წარმოშობს ლეგენდარული ტროას ომის მიზეზს. ეს კი თავის

თავში გულისხმობს მოვლენას, რომელიც ხდება როგორც საბერძნეთის ოქროს ხანისა და თანამედროვე ისტორიის მთავარი საყრდენი, ასევე მსოფლიო ლიტერატურის არაერთი შედეგის შთაგონების წყარო.

უილიამ ბატლერ იეიტსი იმეორებს კლასიკურ ბერძნულ მითს, ამისთვის კი იგი იყენებს ტრადიციული სონეტის ფორმას და ქმნის ისტორიას, რომელიც, ტრადიციული ანტიკური გაგებით, ბედის გარდუვალობისა, ხოლო აქედან გამომდინარე, ზეციური სამყაროს მხრიდან ადამიანთა მიმართ გამორჩენილი გულგრილობის წინააღმდეგია.

მოხსენებაში წარმოვადგენ უ. იეიტსის ლექსის „ლედა და გედი“ როგორც თარგმნამდელ, ასევე - ქართული თარგმანის ანალიზს, რომელიც შესრულებულია რუსუდან ღვიფენიძის მიერ. განვიხილავ, თუ როგორ შეძლო მთარგმნელმა ლექსის დედნისეული ფორმისა და შინაარსის თავის თარგმანში შენარჩუნება და გადმოტანა.

*გიორგი შახაშენიძე*

## **ფიოდორ დოსტოევსკის რომან „იდიოტისა“ და მისი ქართული თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი**

მოხსენება მიზნად ისახავს თარგმანის თეორიისათვის აქტუალური სხვადასხვა საკითხის მიმოხილვას, იქნება ეს ანთროპონიმებისა და ტოპონიმების გადმოტანა, ფრაზეოლოგიზმების თარგმნა თუ კონტექსტური მნიშვნელობისათვის შერჩეული სხვა ეკვივალენტების მიზანშეწონილობა.

როგორც სათაურიდანაც ჩანს, ჩამოთვლილი საკითხები განიხილება არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. კერძოდ, გავაანალიზებთ რუსი კლასიკოსის, ფიოდორ დოსტოევსკის, რომან „იდიოტის“ ორიგინალსა და სხვადასხვა დროს შესრულებულ მის ორ ქართულენოვან თარგმანს: 1965 წელს რუსუდან ქებულაძისა (თბილისი: საბჭოთა საქართველო) და 2022 წელს გივი კიკილაშვილის მიერ (თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა) თარგმნილ ტექსტებს.

გარდა იმისა, რომ თეორიული მსჯელობა კონკრეტული მაგალითებით გამყარდება, შედეგად წარმოჩნდება ზუსტი თარგმანის აუცილებლობაც მნიშვნელოვანი კლასიკური ტექსტის ზოგიერთი საკვანძო მონაკვეთის გადმოცემისთვის.

ეს ნაშრომი წარმოადგენს ქართულენოვანი თარგმანების ავტორთა სტრატეგიის საკითხსაც. ერთი მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე მათგანს ერთმანეთისგან ათწლეულები აშორებს, გვეძლევა ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით სხვადასხვა დროს აქტუალურ მიდგომათა შეპირისპირების შესაძლებლობა. მეორე მხრივ კი, იმის გამო, რომ ზოგიერთი მონაკვეთის თავდაპირველი თარგმანი, ერთი შეხედვით, უა-

ლტერნატივოა, ჩნდება შედარებით ახალი თარგმანის მიმართ მიზანშეწონილობისა და ორიგინალობის მოთხოვნაც, რაც საინტერესოს ხდის მათი რეალიზაციის მაგალითებს, წარმოაჩენს ისეთ შემთხვევებს, როცა ერთი მთარგმნელი, ნებით თუ უნებლიედ, მეორის ზეგავლენას განიცდის და, იმავე დროს, ახალი თარგმანის ავტორის მიერ გამოყენებულ განსხვავებულ პრაქტიკასაც უფრო მეტად ხაზს უსვამს.

საბოლოოდ, ეს ნაშრომი ორივე თარგმანს შორის უპირატესობის საკითხსაც დააყენებს და ნაწილობრივ უპასუხებს კიდევ მას.

*თამაზ ჩიხხაძე*

**ტოტალიტარიზმის ლიტერატურული რეპრეზენტაცია  
ზაირა არსენიშვილის მოთხრობის, „როცა მძვინვარებს შიში  
და ძრწოლა“, მიხედვით**

საქართველო საბჭოთა სისტემის ნაწილი 1921 წელს გახდა და ამ წელსვე დასრულდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამწლიანი არსებობა. პოლიტიკური ტერორის გზით ქვეყანა ჩაერთო ადამიანის „გადაკეთების“ პროცესში, რომელიც ემთხვეოდა ბოლშევიკური დიქტატურის იდეოლოგიურ კურსს. ამ მდგომარეობამ რთული განსაცდელი მოუვლინა კულტურულ ელიტას. კომუნისტურმა იდეოლოგიამ შეზღუდა თავისუფალი ადამიანის ნება, მათი შემოქმედება. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, აღეზარდა მორჩილი ადამიანი, ასევე არ ერიდებოდა დაესაჯა ის, ვინც მის აზრს არ დაეთანხმებოდა, არც დაშინება თუ მუქარა იყო მათთვის უცხო.

ზაირა არსენიშვილის მოთხრობა, „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“, იმ პერიოდის საქართველოზე გვიყვება, როდესაც ქვეყანაში რეპრესიები მიმდინარეობდა. ნაწარმოებში გადმოცემულია ადამიანების შიში, რომელიც ძვირფასი ადამიანების სიკვდილითა და სიტყვის თავისუფლების აკრძალვით იყო გამოწვეული. მთავარი მოქმედი გმირის, თამარის, თავსგადახდენილი ამბები, ნათლად გვიჩვენებს, იმ წინააღმდეგობებით აღსავსე გზას, რომელიც მოიტანა ტოტალიტარიზმმა. საზოგადოების წევრებს უწევდათ, გამიჯვნოდნენ საკუთარ მეგობარს, გადაემალათ წიგნები სარდაფში, მდგარიყვნენ უსაშველო რიგში ერთი ნაჭერი ხორცისთვის, სტუდენტებს კი იმ შეზღუდული განათლების მისაღებად, რასაც სთავაზობდნენ, უნდა წარედგინათ ცნობა იმის თაობაზე, რომ რეპრესირებულ ახლობელთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

საინტერესოა, ზოიას პერსონაჟი, რომელიც არ საუბრობს თავის ტრაგიკულ ცხოვრებაზე საჯაროდ, თუმცა მისი სხეული, მუდამ ალკოჰოლით

გაჟღერებული, მეტყველებს მის წარსულზე. შვილმკვდარი, მშობლიური მიწიდან გამოგდებული, ტანჯული და მუდამ მშვიერი ქალი შვებას ბელადის ქანდაკების განადგურებაში იპოვის. პერსონაჟი ამ მდგომარეობამდე იმ სისტემამ მოიყვანა, რომელსაც უწევს, რომ თაყვანი სცეს და უყვარდეს.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ტოტალიტარიზმის ლიტერატურული რეპრეზენტაციის შესახებ, ზაირა არსენიშვილის მოთხრობის მიხედვით. ყურადღებას გავამახვილებთ ზემოთ ნახსენები სახელმწიფო წყობის გავლენის შესახებ, საზოგადოების წევრებზე, მათ შიშსა და ძრწოლვაზე.

*მეჩი ხვიბლიანი*

### **მეცნიერული იდეების ასახვისა და უტოპიური საზოგადოების შექმნის მცდელობა ბ.ფ. სკინერის „უოლდენ ორში“**

ამერიკელი ფსიქოლოგის ბერას ფრედერიკ სკინერის ფილოსოფიური რომანი „უოლდენ ორი“ 1945 წელს დაიწერა. ნაწარმოებს წინ უძღვის ავტორის წინასიტყვაობა, რომელშიც განმარტებულია უტოპიური საზოგადოების შექმნის სურვილის გამძაფრების მიზეზები. II მსოფლიო ომის მიწურულს დასავლეთის ცივილიზაციისთვის „საუკეთესო ხანა“ დადგა: ჰიტლერის სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე „ბარბაროსული რეჟიმის“ აღსასრული მოახლოვდა, საიმედო მოკავშირედ ქცეული საბჭოთა კავშირიც საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. ინდუსტრიულმა რევოლუციამ კი, ბ.ფ. სკინერის სიტყვებით, თომას რობერტ მალთუსის ხმაც ჩაახშო. ადამიანს უკვე ჰქონდა არჩევანი - გაეგრძელებინა ცხოვრება ძალადობასა და ქაოსში, დამღუპველი მომავლის მოლოდინში, თუ ებრუნა, რომ ჩამოეყალიბებინა სასურველი მოწყობის საზოგადოება. ამ მხრივ უოლდენ ორი ბ.ფ. სკინერისათვის „ურიგო დასაწყისი“ არ იქნებოდა.

მოხსენება მიზნად ისახავს, წარმოადგინოს რადიკალური ბიჰევიორიზმის ავტორის ფსიქოლოგიური თეორიების ნაწილი, რომელთა პრინციპები აისახა კიდევ „უოლდენ ორში“. ნაშრომში, აგრეთვე, მოცემულია ნაწარმოებში აღწერილი საზოგადოების რეალური უტოპიურობისა და სასურველობის მცირე კვლევა, რომელიც ეფუძნება ცალკეულ ინსტიტუტთა ბ.ფ. სკინერისეული მოწესრიგების შეფასებას. გამოსარკვევია, რამდენად შეძლო ავტორმა, პიროვნების თავისუფალი ნების შეზღუდვის გარეშე შემოეთავაზებინა ყველასათვის საერთო კეთილდღეობის მიღწევის ოპტიმალური მოდელი და დაეპირისპირებინა იგი ჰენრი დევიდ თოროსეული ერთი ადამიანის თავისუფლებასა და ბედნიერებაზე გათვლილი უტოპიისთვის.







